

სტატია საიტისთვის-სტატიებში

სატაცური- ალწერილობა, მოვლა -მოყვანა, გამოენება

სატაცური (ლათ. *Asparagus officinalis* L.) მრავალწლიანი მცენარეა, ეკუთვნის შრომანისებრთა ოჯახს. მისი ფოთლები ითვლებიან ცრუფოთლებად და წარმოადგენენ ნემსისმაგვარ ძლიერ პატარა თხელ ტოტებს, რომლებიც შეკრებილია კონებად, 6-9 ცალის რაოდენობით.

მისი ღერო მაღალია (1 მეტრზე მეტი), სწორმდგომი და დატოტვილი. ყვავილები წვრილია მომწვანო-თეთრი ფერის, იზრდებიან მარტოულად ან წყვილ-წყვილად. ნაყოფი მომწიფების შემდეგ წითელია, მრგვალი ფორმის, სიდიდით მინდვრის ბარდისოდენა. იგი სამი კამერისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულში 1-2 ცალი თესლია.

დროთა განმავლობაში მწვანე სატაცურმა სტერეოტიპი დაარღვია და თავისი მნიშვნელობით თეთრს გაუთანაბრდა. მწვანე სატაცური უფრო მკვეთრი გემოთი გამოირჩევა და მეტი სასარგებლო თვისების მატარებელია, რაც, უპირველესად, მასში ქლოროფილის არსებობითაა განპირობებული

სატაცურს ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები და შუმერები მოიხმარდნენ. ამ მცენარის 200-მდე სახეობა არსებობს და აქედან 3 სახეობა გვხვდება საქართველოში.

მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სამკურნალო სატაცური რომელიც მოჰყავთ, როგორც ბოსტნის კულტურა და საკვებად გამოიყენებენ მის ქორფა, წვნიან ყლორტებს. სატაცურის ფესვები და ყლორტები, ალკალოიდ ასპრაგინის წყალობით, სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს.

სატაცური არსებობს ველური სახითაც. რაც შეეხება ე.წ. „კორეულ სატაცურს,“ მას არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ სატაცურთან და მისი ნამდვილი დასახელებაა „ფუპი ან ფუჩუ“, ეს პროდუქტი მზადდება სოიის რძის ნაღებისაგან, რომელსაც ამრობენ და წნეხავენ.

სატაცურის თესლი შავია, სფეროსებრი, შედარებით მსხვილი. მას მაგარი კანი აქვს, რის გამოც ნელა ღივდება და 10-12 დღის შემდეგ ამოდის. მისი გაღივებისათვის 20-25°C-ია საჭირო. სატაცურს ძლიერ ფესვთა სისტემა აქვს, ის ღრმად ვრცელდება ნიადაგში – საშუალოდ 135 სმ-მდე. მისი ცალკეული ფესვები კი (2,5-3,0) მეტრამდეც ჩადიან ნიადაგში. თუმცა ფესვთა მთავარი მასა მაინც ნიადაგის ზედა ფენაში, 30 სმ-ის სიღრმემდე ვრცელდება.

ამჟამად სატაცური ნაკლებად იწარმოება ფერმერულ მეურნეობებში. სატაცურის მოვლა-მოყვანა არ მოითხოვს განსაკუთრებულ ტექნიკურ აღჭურვილობას და იგი ნაკლებად ზიანდება სხვადასხვა სახის მავნებელ-დაავადებებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია სატაცურის პლანტაციის გაშენება, მაგრამ ის დროს მოითხოვს. მოსავლის აღება შესაძლებელია გაშენებიდან მხოლოდ 3 წლის შემდეგ. სამაგიეროდ, ერთხელ გაშენებული პლანტაცია კარგი მოვლის შემთხვევაში (15-20) წლის განმავლობაში იძლევა ხარისხიან მოსავალს.

სატაცურის პლანტაციის გაშენების აგროკლიმატური პირობებია: ოპტიმალური ტემპერატურა (12 – 26)°C. თესლის გაღივების პროცესი ყველაზე სწრაფად 25°C-ის პირობებში მიმდინარეობს, ხოლო ყლორტები კი ზრდას იწყებენ (12-15)°C-ის პირობებში.

იგი ყინვაგამძლე მცენარეა – უძლებს ტემპერატურის დაცემას -10°C-მდე. შედარებით ნაკლები გამძლეობით ხასიათდება გაზაფხულის წაყინვებისადმი. ჰაერის

ოპტიმალური ტენიანობა სატაცურის ზრდა-განვითარებისათვის -(60-65)%, ხოლო ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობა კი – (70-75)%.

სატაცურისათვის საუკეთესოა ქვიშნარები და მსუბუქი ნიადაგები, ან ნიადაგი რომელიც კარგად ატარებს ჰაერს და წყალს, აქვს კარგი სტრუქტურა და მდიდარია საკვები ელემენტებით. ნიადაგის არეს ოპტიმალური რეაქცია (pH) კი სატაცურისათვის იდეალურია (6,5-7,5)-ის ფარგლებში.

სატაცურის ზოგიერთი გავრცელებული ჯიშის და ჰიბრიდის:

1. არტანჯელი-აქვს თეთრი ფერის წვნიანი და მსხვილი ყლორტები, ბოლქვის საშუალო მასა (40-60) გრ-ია.

2. ტიელიმი F1- მაღალმოსავლიანი საადრეო ჰიბრიდი, ბოლქვის მასა შეადგენს (45-55)

გრ-მდე.

3. გროლიმი F1- საადრეო ჰიბრიდი, გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, ბოლქვის მასა (45-55)

სატაცური მაღალი კვებითი ღირებულების მქონე ბოსტნეულია.

საკვებად გამოიყენება მისი ახალგაზრდა ყლორტები.

სატაცურს მრავალი სასარგებლო თვისება გააჩნია. მას ორგანიზმი ადვილად ითვისებს, დაბალკალორიულია, შეიცავს B1, B2, B9, C, E, A, PP ვიტამინებს, მაკრო და მიკროელემენტებს – თუთიას, კალიუმს, ფოსფორს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ცილებსა და ნახშირწყლებს. განსაკუთრებით მდიდარია ასპარაგინით, რომელიც აფართოებს სისხლძარღვებს, აქვეითებს არტერიულ წნევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერების – ამიაკის – გამოდევნას.

სატაცურით კვებას უნიშნავენ ინფარქტგადატანილებს, გულის კუნთების მუშაობის სტიმულირებისათვის. მიუხედავად მრავალი დადებითი თვისებისა, სატაცურის ჭამას არ ურჩევენ მათ, ვისაც კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება აქვს. სატაცური კარგად ეხამება ხორცს და, ამასთან, გამოდევნის კანცეროგენებს.

სატაცური საქართველოში

საქართველოში სატაცური სეზონური პროდუქტია, რომელიც საკმაოდ მწირი რეცეპტების ფონზე განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა დელიკატესის სტატუსი ნამდვილად გააჩნია.

ყველაზე უჩვეულო, რაც სატაცურისგან მზადდება, არის დესერტები. გარდა ხილის სალათებისა, მისგან კარამელსაც ხარშავენ.

ვახუშტი ბატონიშვილი სატაცურს მხალეულს მიაკუთვნებდა.

არქანჯელო ლამბერტი აღწერს, რომ ამ მცენარით მოფენილი იყო მთელი სამეგრელოს ზღვის სანაპირო. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, სატაცური ძველთაგანვე ფართოდ ყოფილა ჩვენში გავრცელებული. მეცნიერის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მცენარის შესახებ წერილობითი ცნობები მხოლოდ XVIII საუკუნიდან მოიპოვება, მცენარის ქართული სახელწოდებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ამ მცენარეს უძველესი დროიდან მოიხმარდნენ საქართველოში. ეს ფაქტი ივანე ჯავახიშვილს დასაბუთებული აქვს იმითაც, რომ სატაცურის ქართული სახელწოდება არც ერთ უცხოურ დასახელებას არ წააგავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უბრალო ჯიშებთან ერთად თეთრი სატაცურიც ყოფილა გავრცელებული, რომელიც უფრო ძვირფას სახეობად ითვლება.

სატაცურის მოვლა მოყვანის აგროწესები

სატაცური ძირითადად ჩითილების გადარგვით მოიყვანება. ჩითილების მისაღებად თესლს ზრდიან ღია საჩითილებში. იმისათვის რომ თესლი უკეთ აღმოცენდეს, საჭიროა დათესვამდე, მისი 25-30°C-მდე შემთბარ თბილ წყალში დალბობა 5-6 საათის განმავლობაში. რის შემდეგაც მას იღებენ წყლიდან და 5-6 დღე აჩერებენ სველ-ტენიან გარემოში. ამის შემდეგ საჭიროა თესლის შემშრობა და ამ სახით მომზადებული სათესლე მასალა მზადაა დასათესად.

საჩითილეში თესლი ხელით ითესება, რიგებად 25X10 სმ. კვების არეზე (ანუ რიგებს შორის 25 სმ-ის, ხოლო რიგში მცენარეებს შორის 10 სმ-ის დაცილებით).

ჩითილების შემდგომი მოვლა გულისხმობს: გამარგვლას, მორწყვას, ნიადაგის გაფხვიერებას და გამოკვებას. შემოდგომაზე ყლორტები 3-4 სმ-ის სიმაღლეზე უნდა გადაიჭრას. ჩითილის გადარგვა მოხდება მეორე წლის გაზაფხულზე.

ნიადაგის მომზადება-განოყიერება. სარეველებისა და ანარჩენებისაგან წინასწარ გასუფთავებული ნიადაგი შემოდგომაზე იხვნება 30-40 სმ. სიღრმეზე. მოხვნის წინ საჭიროა ორგანული სასუქების შეტანა, გადამწვარი ნაკელის სახით, 80-100 ტ/ჰა-ზე. გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს მზრალის გადარგვისწინა დამუშავება და ჩატარდეს 2 კულტივაცია 10-12 სმ. სიღრმეზე, თანმიყოლებული დაფარვით. კარგად გაფხვიერების მიზნით შესაძლებელია ნიადაგს დაფრეზვა დასჭირდეს.

სატაცურის მოსავლიანობას მნიშვნელოვნად ზრდის ნიადაგის განოყიერება მინერალური სასუქებით: 8-10 წლის ასაკის პლანტაციაში 1 მ2 ფართობიდან 8 კგ მოსავლის მისაღებად წვეთოვანი მორწყვით და შეთვისების კოეფიციენტის გათვალისწინებით, საჭიროა ნიადაგში შეტანილი იქნას აზოტი 105,6 გრმ²-ზე, ფოსფორი 40მ²-ზე, კალიუმი 109,2მ²-ზე (სუფთა ნივთიერებები). მზრალად მოხვნის წინ, 1 ჰა-ზე 100 ტონა გადამწვარი ნაკელის შეტანის შემთხვევაში კი საჭიროა: აზოტი 556კგ, ფოსფორი 150კგ, კალიუმი 496 კგ. (სუფთა ნივთიერებები). კონკრეტული ნაკვეთისათვის სასუქების ზუსტი დოზების დადგენა უნდა განხორციელდეს ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის საფუძველზე.

ჩითილის დარგვა და მოვლა

I წლის ღონისძიებები. სატაცურის ჩითილები ირგვება გაზაფხულზე. გადარგვამდე ნიადაგი კარგად უნდა მოსწორდეს და ერთმანეთისაგან 1,5 მ. დაშორებით გაიჭრას 35 სმ. სიგანის 30-35 სმ. სიღრმის თხრილები. თხრილში ჩაიყრება 15 სმ. სისქის გადამწვარი ნაკელი და 10-12 სმ. სიღრმეზე ჩაკეთდება. ჩითილები თხრილებში ირგვება ერთმანეთისაგან 40 სმ-ის დაშორებით. ჩითილი 5-7 სმ-ით უფრო ღრმად უნდა დაირგოს ვიდრე იგი საჩითილეში იზრდებოდა. თუ ნიადაგი მშრალია, ჩითილი დარგვისთანავე უნდა მოირწყას. გადარგვის შემდეგ მთელი სეზონის განმავლობაში საჭიროა ჩითილების რეგულარული მორწყვა, სარეველების მოცილება და თხრილებში ნიადაგის პერიოდული გაფხვიერება. შემოდგომის პერიოდში მცენარეები უნდა გადაიჭრას ფესვის ყელიდან 5-6 სმ-ის სიმაღლეზე, ხოლო თხრილში კი კვლავ მიწა უნდა ჩაემატოს. მიწის ჩამატება უნდა მოხდეს ისე, რომ თხრილი მთად არ ამოივსოს – მიწის ზედაპირამდე 8-10 სმ. უნდა დარჩეს.

II წლის ღონისძიებები. მეორე წლის გაზაფხულიდანვე ტარდება მთლიანი კულტივაცია. ხოლო შემდგომი მოვლის ღონისძიებები კი იგივეა რაც პირველ წელს. შემოდგომაზე ღეროები ისევ უნდა გადაიჭრას და თხრილი კი ამჯერად პირამდე უნდა ამოივსოს მიწით.

მოსავლის აღება. სატაცურის მოსავლის აღება იწყება დარგვიდან მესამე წელს. საშუალოდ ერთი მცენარე 50-60 გრამიან 10-15, ზოგჯერ კი 20-30 ყლორტს იძლევა. იკრიფება 20-25 სმ-იანი სატაცურის ყლორტები. მოსავლის აღების პერიოდი 40-45 დღე გრძელდება.

მოკრეფა საჭიროა განხორციელდეს მხოლოდ დილის, ან საღამოს საათებში. ყლორტები 15-25 ცალიან კონებად იკვრება და დანიშნულების ადგილზე იგზავნება.

პირველი მოსავლის აღებიდან შემდგომი (3-4) წლის განმავლობაში სატაცურის მოსავალი ყოველწლიურად მოიმატებს და დაახლოებით 8-12 წლის განმავლობაში იგი სტაბილურად მოსავლიანი იქნება. შემდეგ კი დაიწყება მოსავლიანობის თანდათანობითი კლება, რადგან ყლორტები და ღეროები წვრილდება და მოსავალიც ნელნელა იკლებს. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, კარგი მოვლის პირობებში სატაცურის პლანტაცია (15-20) წლის განმავლობაში მოგვცემს მოსავალს.